



№ 40

8 ქრისტიანობა. 1913წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

უძველესი ქართველი საზოგადო-ეკონომიური

და სალიტერატურო შურონი

წელიწადი გამოდის

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 10-1 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზიტის: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

- | | |
|-------------------------------------|-----------------------------------|
| 1. „მოწვევების და“. | 7. ბედნიერი შინაგანი. |
| 2. რა გემართებს. — . რ. გ — ე ს ი. | — თარგ. . . . გ. ნამორაძისა. |
| 3. ფინანსიური მასა- | 8. ესთეტიური კულ- |
| ზრება. — ეკალია. | ტურა. — ახალმოსულისა. |
| 4. პოლიტიკური ცვლილების გარშემო. | 6. ჩემი ძახილი. — ლექსი ორენასი. |
| 5. ზრება. | 10. უკანასკნელი ამბები. |
| 6. შეფუთვით ლექსების ბა- | 11. ბ. გრიგოლ დია- |
| რათები. — ფარსმან-ფარუხისა. | სამიძე. — რ. გაბაშვილისა. |

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

უძველესი ქართველი საზოგადო-ეკონომიური

და სალიტერატურო შურონი

„კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით.	2 მან.
	3 თვით.	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

„მოწყალების და“

მთავრობის ოფიციალურმა პოლიტიკის შესახებ მდუმარება დაარღვია და საზოგადოების აღელვებულ სინდისის დამშვიდებასა ლამობს. იგი უარჰყოფს, რომ პოლიტიკის საკითხში როგორიმე ბრძოლა არსებობდეს, მით უმეტეს ეროვნული. მიუხედავად ამისა, ბრძოლის ველზედ იგი „მოწყალების და“ გამოდის და რაკი ბრძოლა მართლაც არსებობდა და რაკი ამ ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, ქართველების გვამებს ჰკრფავს და მომავალ პოლიტიკურში გზავნის კრილობათა მოსარჩენად; ჩვენის აზრით ასეთი საქციელი ცინიკურია.

მაგრამ ოფიციალში მარტო ამ ცინიზმით არ კმაყოფილდება: როგორც ყოველთვის, ეხლაც ფაქტებს ყორამალა აყენებს და საკამათო საგანს თავისებურად აშუქებს. „საკითხი რომ აღძრულიყო იმის შესახებ, თუ **სად** აშენდეს საპოლიტიკო ინსტიტუტი, შესაძლებელია არჩეული ყოფილიყო საბურთალო. მაგრამ უმთავრესი საკითხი ის იყო, თუ **როდის** აშენდეს პოლიტიკური.“ — ამბობს ოფიციალში.

რას ნიშნავს ესა? ჩვენ იძულებულნი ვართ შევეკითხოთ „კავკასს“, წაუკითხავს მას, თუ არა, მეფის მოადგილის განკარგულება, რომლითაც თბილისის პოლიტიკის საკითხი საუწყებათაშორის კომისიას გადაეცა? თუ წაუკითხავს, რა იყო იქ მოხსენებული, რა უნდა განეხილა კომისიას: პოლიტიკის აშენების **დრო**, თუ პოლიტიკის აშენების **ადგილი**? ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკითხი გადაცემული იყო კომისიაში სწორედ იმისათვის, რომ ამ კომისიას შედარებითი ანალიზი მოეხდინა საკონკურსო ადგილებისა და არა დროსი. კომისიამაც უმთავრესი ყურადღება ადგილების შეფასებას მიაქცია, სასწორი სამართლიანობის საბურთალოსკენ გადახარა, მაგრამ როგორ მოხდა, რომ პოლიტიკის ბედი მაინც **დროს** მიხედვით გადაწყდა, და არა ადგილისა ეს ჩვენთვის ისევე გამოუცნობია როგორც ის, რომ ერთხელ თვითონ „კავკასი“ საბურთალოს მომხრე იყო და ეხლა კი ხელი ნავთლულისაკენ გაუშვერია.

„კავკასის“ საკინძ-ჩამოხსნილობა არც ამით თავდება. „ვისაც როგორ უნდოდეს ისე მოიქცეს — განაგრძობს გაზეთი: — ვისაც უნდა გამარჯვებულად ჩასთვალოს თავი, ვისაც უნდა — დამარცხებულად“.

ლაღ“. გამოდის, რომ რუსის მთავრობისთვის სულ ერთია ვინ იქმნებიან მისი მადლიერნი საქართველოში: — ქართველები, თუ სომხები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ საკითხში „კავკასმა“ სულ მთლად ჩაიხადა.

ჩვენ თვალებს ვხუჭავთ რომ ქამობა ოფიციალში არ დავინახოთ, მაგრამ საქროდა ვთვლით ვსთქვათ, რომ ასეთი პოლიტიკა არავის კეთილს არ უქადის.

რა გეპართებს *)

როდესაც ქართულ საზოგადოებაში არსდება რომელიმე დაწესებულება, ან უკვე არსებულს გაუქირდება რამე, მაშინვე იბადება აზრი: ვთხოვთ თავად-აზნაურობას; და თავად-აზნაურობაც უხვად გასცემს ყველაფერს, რაცა აქვს, სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში თითქმის არ არის არც ერთი საზოგადოება პროგრესიული, არც რამე დაწესებულება, რომელიც ასე თუ ისე დამოკიდებული არ იყვის თ.-აზნაურობისაგან. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ თ.-აზნაურობასა აქვს სქელი ჯიბე, არამედ იმითაც რომ თანამედროვე ინტელიგენციაც უმეტესად თავ.-აზნაურულ წრიდან არის გამოსული. ნუ გამოვეყილებით იმას — კარგია ესეთი მოვლენა, თუ ცუდი — ცხადია, რომ ყოველ შემთხვევაში ეს არა ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და რეალურ მოსაზრებათა განხორციელებაში, რეალურ პოლიტიკის წარმოებაში ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მართლაც, ახლანდელს ჩვენს ცხოვრებაში ერთად-ერთი ღონიერი ორგანიზაცია, ღონიერი ეკონომიურად და პოლიტიკურად, ისევე თავად-აზნაურობაა. მარტო მას უწევენ კიდევ ანგარიშს, მარტო მას შეუძლიან კიდევ იღონოს რამე სხვა და სხვა გასაქირში, თორემ სხვა ორგანიზაციები, რომელთაც შეეძლოთ გადაძალვა თუ არა, გვერდში ამოდგომა მაინც თავად-აზნაურობასთან — ჯერ, საუბედუროდ არა გვყავს. აი, ყველა ეს თუ მივიღეთ მხვედველობაში, უნდა ვაღვიაროთ, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც გაუწევდეს ანგარიშს ტერიტორიის თანამედროვე, თავბრუს დამხვევ მობილიზაციას, უნდა მოეწყოს თ.-აზნაურობის ფრთის ქვეშ.

*) იხ. „კლდე“ № 39.

ჩვენ სრულებით იმედი არ უნდა ვიქონიათ რომ ცალკე თ.-აზნაურაა შეგნება ისეთს ევოლიუციას განიცდიდეს, რომ შეეძლოს ეროვნული ინტერესებისათვის დასთმოს პირადი მოსაზრებანი და იმ საკუთრებას, იმ ნიადაგს, რომელზედაც დამყარებულია ერის კეთილდღეობა, — ფეხი ღონივრად დააქიროს და შეინარჩუნოს. ეს პირდაპირ უტოპიად უნდა ჩაითვალოს ჩვენს გადაგვარების დროს, როცა მსხვილი მესაკუთრეობა ირღვევა შინაგან კანონებითაც და გარეშე პირობათაგანაც. დიდს მამულს დიდი მოვლა-პატრონობა და დიდი თანხა სჭირია, რომ შესაფერი ნაყოფი მოიტანოს და ზედ დაწერილი ხარჯები დაჰფაროს. ჩვენს თავ.-აზნაურობას (როგორც ცალკე პირთ), არამცთუ ამისი უნარი არა აქვს, რომ ჰქონდეს კიდევ, ვერ შესძლებს, რადგან წინა თაობისგანვე არის მამულები დავალიანებული, გაპარტახტებული, შემოუსავლიანი. ეს მარტო ს.-დ. და სხვა მათ გვარ კუჭ-გამხმრებს ელანდებთ რომ ჩვენი თ.-აზნაურობა რაღაც ფეოდალები, ზუბრები არიან, რომელნიც ქონში სკურავენ და ჯიბეს ისჩელებენ. ფაქტიურად ⁹⁹/₁₀₀ თ.-აზნაურობისა იმდენად გაბოგანოვებულია, რომ მარტო გარეშე დახმარებით და შეიძლება მათი გამობრუნება ადამიანურ ცხოვრებისაკენ.

მაგრამ ამის და მიუხედავად დიდძალი მიწა, დავალიანებულია იგი, თუ ჩამხვჩალი ვალებში, მაინც თ.-აზნაურობის ხელშია ჯერ კიდევ. იგი მიწა შემოსავალს არ იძლევა, რასაც იძლევა ვალში მიღის და თანდათან ექირება საბელი ჩვენს მსხვილ მემამულეობას. მისი საბოლოო ლიკვიდაცია ახლოვდება, რადგან ყოველ დღე ნაქრობლივ იყიდება და იკარგება ჩვენი მამულები, რომ მათმა პატრონებმა, უსაკმურთ და უქმთ, სული მოიბრუნონ. არის ჩვენში რამდენიმე გადაგვარებული საგვარეულო, რომელთ ხელში შედარებით კიდევ დიდი მამულები არის შეგროვილი და თითო გარყენილს, გათახსირებულს, გონება შერყეულს შეუძლიან ვაკყიდოს თავისი საკუთრება, რადგან იურიდიული პირია და ნება აქვს, რადგან ცხოველია და ქამა უნდა, რადგან გონება შერყეულია და საერთო საფრთხეს ვერა გრძნობს. ამას თავისი განსაკუთრებული ეკონომიური კანონი აქვს: ფეოდალურმა მეურნეობამ დრო მოიქამა და ფეოდალების შთამომავლობამ ინტენსიური ხასიათი ვერ მისცა წარმოებას. ძალით თუ ნებით, შეგნებით თუ შეუგნებლად მსხვილი მემამულეობა ირღვევა, ინგრევა და მის ადგილზედ... სიკარიელე რჩება, თუ უცხო ელემენტმა არ ჩასქიდა

ხელი და მამულის ბედი თავისაკენ არ შეატრიალა.

საკითხი ახლა ისაა, გვყავს თუ არა ის ჯანსაღი ელემენტები, რომელნიც ჩამოართმევდნენ მემკვიდრეობას დარღვეულ ნატურალურ მეურნეობას და ააყვავებდნენ ახალს, ინტენსიურს? ჩვენი ერის სხეულში ასეთი ელემენტები ბევრია, ოღონდ ძალთა გასაღვეიებლად, ხელის შემწყობი პირობები არა აქვთ. რაღა თქმა უნდა, ეს ღონიერი ელემენტი ჩვენი გლეხობაა, რომელსაც შრომის უნარი დიდი აქვს და ახალ საშუალებათა შეთვისებისაც, ოღონდ ჩვენი გლეხკაცი ხელ-ფეხ შეკრულია მიწის სივიწროვით, შეკრულია იმ მდგომარეობით, რომ **საკუთრება** არა აქვს. ნამეტნავად ეს ასეა აღმოსავლეთ საქართველოში, სადა მთელი ტერიტორია უქმს თ.-აზნაურობას უჭირავს, თითონაც ვერ ხმარობს და სხვა-საც არ ახმარებს, ან თუნდაც მისცეს გლეხს, რა გული შესტკივა უკანასკნელს, ბატონის მამულში ოფლი დაღვაროს და გააუმჯობესოს; იგი სკდილობს რაც შეიძლება მეტად გასცარცვოს მიწა და გამოფიტული გადაადგოს. მას **არ უყვარს**, არ შეუძლიან უყვარდეს **სხვისა** მამული.

ახლა ვიკითხოთ ისიც, არის თუ არა საშუალება რომ ჩვენმა გაღატაკებულმა გლეხობამ ამ მოვლენას თავი დააღწიოს? კიდევაც რომ არის, რადგან საჭიროა მხოლოდ, მიწა იმის ხელში იყოს, ვისაც მისი დამუშავება შეუძლიან და სურს, სწყურიათ. რა გზით შეიძლება ასეთი წყურვილი დაკმაყოფილდეს, ცალკე პირთა და მთელი ერის საკეთილდღეოდ? ჩვენი ჟურნალის № 37 ნაჩვენები გვქონდა ერთი მარტივი საშუალება: მჭიდროდ დასახლებულ იმერეთიდან გადმოსახლება ჯანსაღი ელემენტებისა, რომელნიც ერაის მხრით, შეათხელებენ მოსახლეობას თავისას, — ამით ნორმალურ დონეზედ ჩამოიყვანენ მიწის ფასებს, — და მეორეს მხრით, უფრო ცოცხალს, მკვირცხლს, გამბედავს და ცხოვრებასთან უკეთ მებრძოლ ტალღას გადმოსჩქეფავენ ჩვენს ქართლურს, ნიათ გამოღვეულ სახსრებში.

მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ კმარა იმისათვის, რომ ფეოდალურ წყობილებისაგან ნაანდერძევი სივრცე მიწისა გამოყენებული იყვეს უკანასკნელ ციდაძლის. ასეთ მეურნეობის გაჩაღებისათვის აუცილებლად საჭიროა ადგილობრივმა ცოცხალმა ელემენტებმაც მიიღონ მონაწილეობა სამშობლო ტერიტორიის აღორძინება-დაცვაში. რაც უნდა იყვის, ქართველი ხალხი, თუნდ ყველაზედ მოძრავი ელემენტიც რომ ავიღოთ — იმერლები, — მაინც მე-

ტად ადგილზედ დაბმული ხალხია: რაც უნდა კარგად გრძნობდეს თავს ქართველი ახალშენში, მაინც თავისი სოფლის ხატს არ დაივიწყებს და ოცნები, გულით იკითხვრება. ამიტომ ღონიერი, ბინადარი მცხოვრები მომავალისა ისევ ადგილობრივი ელემენტებისაგან უნდა შეირჩეს, ან შერევნილ მაინც გაცხოველდეს.

მაგრამ ყველა ეს მოსაზრება, რა გინდ ქეშმარიტი იყვეს, ცარიელ მოსაზრებად დარჩება და განიფანტება ჰაერში, როგორც მრავალი უკეთესი მოსაზრებაც გაფანტულა, თუ ამ მოსაზრებათ. განმახორციელებელი ფორმა და შინაარსი არ გამოუნახებთ. ძნელია წინდაწინვე დაწვრილებით განჭკვრეტა ყველა იმ წვრილმანებისა, რომელთაც სინამდვილე წამოაყენებს, მაგრამ საზოგადო ხაზები იმ ორგანიზაციებისა. რომელთაც უნდა იდვან თავსა ეს საქმე, ადვილი მოსახაზავია.

რ. გ.

„ფინანსიური მოსაზრება“

„ფინანსიურმა მოსაზრებამ“ გაიმარჯვა. ნამესტნიკმაც მხარი ამ „მოსაზრებას“ დაუჭირა და ცნობილი განკარგულება გასცა:

„პოლიტენიკუმი ნავთლულში აშენდეს“.

მთავარი საბუთი ამ „მოსაზრებისა“ თურმე ის ყოფილა, რომ პოლიტენიკუმის საბურთალოზე აშენება ვიანომ 600000 მანეთით მეტი ჯდებოდა, ვიდრე ნავთლულში.

ამ საეჭვო ეკონომიამ ისე გაიტაცა ნავთლულის მომხრენი, რომ მათ სრულიად მიავიწყდათ მთავარი კულტურული მოთხოვნილებანი უმაღლეს სასწავლებლისა, მოთხოვნილებანი, რომელთაც ნავთლულში არავითარი „ფინანსიური მოსაზრება“ ვერ დააკმაყოფილებდა.

მაგალითად, ნავთლული, რომლის გარშემო მიდამოები საზარელ ექსკრემენტებით ღრმადაა გაჟღენთილი და რომელიც ქ. თბილისის საზოგადო რეტირადად ითვლება, რა „ფინანსიური მოსაზრებით“ შეიძლება ეხლა საღ ალაგად გადაიქცეს?

რა „ფინანსიურ მოსაზრებით“ შესაძლოა სასალახოებისაგან წარმოშობილ, ათასგვარ მიახმებით, საესე ჰაერის განწმენდა?

რა „ფინანსიური მოსაზრებით“ შეიძლება ხუთი სასაფლაოს ათი ათასის მკვდრის სუნი პოლიტენიკუმს მოშორდეს?

რა „ფინანსიური მოსაზრებით“ შესაძლოა მუდმივ და მკაცრ ქარიშხლების შეყენება, რომელთაც მთელი თბილისის ნაგავი და ქუჩი ნავთლულში მიაქვთ და ეხლა პოლიტენიკუმს მიაყრიან?

რა „ფინანსიური მოსაზრებით“ შესაძლოა გარშემორტყმულ—პ რკინის გზის მრავალ მატარებლების გრიალის შეჩერება და მათ, ქვარტლით და კვამლით გაჟღენთილი, ატმოსფერის პოლიტენიკუმისათვის აშორება?

რა ფინანსიური მოსაზრებით?

დუქანს ვაშენებთ თუ უმაღლეს კულტურულ დაწესებულებას?

დუქანი მარტო სამ ელემენტს საჭიროებს: მტვრიან-აყროლებულ შარავზის ჰაერს, სომხის ბინძურ მელქქესს და გაქვარტლოვ ტარანებს.

მაგრამ, დამეთანხმებით, რომ პოლიტენიკუმში, როგორც დიდი კულტურული დაწესებულება ცოტა მეტს მოითხოვს.

მაგალითად პროფესორები, სტუდენტები და პოლიტენიკუმის ყველა მოსამსახურენი უპირველესად ყოვლისა მოითხოვენ კარგ და სუფთა ჰაერს.

რადგანაც, მოგვხსენებათ, აყროლებულ ჰაერის ყლაპვის კულტურული ადამიანები მიჩვეულნი არ არიან.

ნეტა მოსავალ პოლიტენიკუმის ხალხს მოწამლულ ჰაერს რა „ფინანსიური მოსაზრებით“ მოაშორებენ?

რა „ფინანსიური მოსაზრებით“ გამოაცოცხლებენ ამ თვით ბუნებით დაწყვეტილ ალაგს? და არა მარტო ჰუნებთ—ხალხის მხრივთაც კი, რომელმაც ნავთლული ქ. თბილისის სამკვდროსანაგვო ადგილად გახადა.

ვევებერთელა რეტირადი, ხუთი სასაფლაო, ორი სასალახო, სამხედრო ცხენთა თავლები, გადამდებ სენის საავადმყოფონი და სხვა და სხვა...

აი ის დაწესებულებანი, რომელნიც დღეს ნავთლულის სიამაყეს წარმოადგენენ. და ამ დაწესებულებათა შუა უნდა მოეწყოს დღეს კულტურულ-გამანათლებელი ცენტრი ამიერ კავკასიისა—პოლიტენიკუმში?!...!

აი რა საპატიო ალაგი ამოურჩიეს სომხის „ფინანსისტებმა“ დიდ სახალხო საქმეს და „ფინანსიურ მოსაზრებას“ მიეფარნენ...

მაგრამ ეს ტყუილია.

აქ არც „ფინანსიურ მოსაზრებას“ და არც

პოლიტენიკუმის იდეურ-კულტურულ ინტერესებს აღვლი არა აქვთ.

მეფის მოადგილის რეზოლიუციის გამოკვეყნების რამდენიმე დღის შემდეგ, 5000 სომეხმა ა. ხატისოვს თხოვნა მიართვა — არიქა ნავთლულის უჩასტკები მოგვეცით.

აი ეს, „მოსაზრება“ ჩვენთვის ნათელია და საბუთიანიც.

მაგრამ ეს „ფინანსური მოსაზრება“ კი არაა, არამედ ნამდვილი „სომხური მოსაზრება“.

და იმიტომაც მათი ალტაცება და სიხარული ჩვენ კარგად გვესმის...

მოვატყუეთ სულელი ქართველები და დავამარცხეთ!

ხარხარით და სიცილით გაჰკვივან „პარონები“.

მაგრამ ერთი ბრძნული ანდაზა ნუ დაავიწყდებათ:

ის არ იცინის კარგად ვინც იცინის პირველი, არამედ ის ვინც იცინის უკანასკნელიო.

ეკალი.

პოლიტენიკუმის გარშემო

საქართველოს მთელმა პრესამ ერთხმად დაჰგმო უკანასკნელი დადგენილება — პოლიტენიკუმისათვის ნავთლულის არჩევა.

„სახალხო გაზეთმა“, „ერმა“, „კლდე“, „ფიქრმა“, „ხაკავაკაზსკია რეი“-მა და „ხაკავაკაზიე“-მ ამ ფაქტს აღშფოთებული წერილები უძღვნა და ყველა ხაზს უსვამდა, რომ ამ აქტში ნათლად გამოიხატა მთავრობის და სომხების კავშირი ქართველების წინააღმდეგ.

მასთან ქართული პრესა მოითხოვდა, რომ ქართველობას და მათ შორის განსაკუთრებით ქართლ-კახეთ-იმერეთის თავადაზნაურობას, როგორც ძლიერ ორგანიზაციებს, პასუხი გაეცათ ამ შეურაცხყოფელ ფაქტისთვის.

მოგვითხრობენ რომ, როდესაც საუწყებათა შორისო კომისია საბურთალოსა და ნავთლულის პირობებს იკვლევდა და სხვათა შორის ირკვეოდა, რომ საბურთალო ბევრად უკეთესი ადგილია პოლიტენიკუმისათვის, ამ დროს ა. ი. ხატისოვი ავადმყოფი ლოჯინში იწვა და მეტად ღელავდა. მის და-

სამშვიდებლად ერთი მაღალი წრის ქალი ყოველ დღე უგზავნიდა კურიერებს. თვითონაც უკანასკნელ დღეებში რამდენჯერმე ყოფილა ხატისოვთან, და ანუგეშებდა ავადმყოფს:

„ნუ სწუხართ, ძვირფასო ალექსანდრ ივანიჩ! ნუ სწუხართ! პოლიტენიკუმის აშენება უსათუოდ ნავთლულში გადასწყდება“...

თუმცა მეფის მოადგილემ განაცხადა, რომ პოლიტენიკუმის საძირკვლის ჩაყრას გაზაფხულზე უნდა შეუდგნენ, სომხები მაინც სცდილობენ ეს საძირკველი იანვარში ან თებერვალშივე ჩაყარონ, რათა, როგორც თვითონვე ამბობენ, რაიმე „ნედორაზუმენიემ“ გაზაფხულამდის ხელი არ შეუშალოს პოლიტენიკუმის ნავთლულში აშენებასაო.

სომხების ბანაკში დიდი სიხარულია. მართავენ ბანკეტებს და ერთმანეთს დიდის ალტაცებით ეამბოვრებიან.

რუსეთის სატახტო გაზეთებში აღნიშნულია, რომ ქართველები დემონსტრატიულად არ გაჰყვენ მეფის მოადგილესთან დეპუტაციასაო.

მოგვითხრობენ, რომ როცა სომხის დეპუტაცია ნამესტნიკის სასახლეს მიუხლოვდა, სწორედ სასახლის დარაჯების წინ ვეებერთელა ფოტოგრაფია დაუხვდა. მაგრამ, მიუხედავად ფოტოგრაფის ხვეწნისა, დეპუტაციამ კატეგორიულად უარი განაცხადა თავის „ფატრეტების“ გადაღებისა.

შ რ ე ს ა

მწარე ფიქრები.

წარსულ შაბათის ნომერში „სახალხო გაზეთისა“ (№ 1056) ბ-ნი „კორდელი“ სწერს:

ამ დღეებში დასრულდა ორი ქართული საკულტურო საზოგადოების წლიური კრება. მაგრამ შთაბეჭდილება, რამედიც მთახდინა ზოგიერთ დამსწრეებზე ორივე კრებამ, ლოდივით მძიმე და აუტანელია.

ამ სიტყვების წაკითხვაზედ კაცს ეგონება, რომ „სახალხო გაზეთმა“ თვალი მოიფშენიდა და გაბედა ბოლოს მართალის თქმა ბ-ნ „კორდელის“ პირით მაინც, და მართლაც მძიმე და აუტანელი შთაბეჭდი-

ლების ბრალი იმას დასდო, ვისაც ედება იგი, ე.ი. — გამგეობას, მაგრამ, თურმე ყველაფერი ქირი იმაშია, რომ

გამგეობა თუ საბჭო ემზადება მთელი კვირათბით, იმუშავებს ვრცელ მხსენებებს, კრებებსეკი მოვლენ სრულებით მოემზადებენი, არა სპეციალისტები და შეიქნება წყალ-წყალა ორატორების გაუთავებელი კამათი... არც ერთს საკმაოდ არა აქვს გათვალისწინებული საკითხი, არც ერთს არ დაუხარჯავს ორი საათი მანინ მისი გამუქებისათვის და განმარტებისათვის.

აი ამასა ჰქვიან სწორად: „ჩემ გაკეთებულ ლიტრას საითაც მინდა ყურს იქით შევბამო. კრების ყველა დამსწრე ხედავდა, რომ გამგეობის სრული პროსტრაცია ვიხილეთ წ. კ. გ. საზოგადოებისა. რომ მას არამც თუ არც ერთი ვრცელი (?) მოხსენება, უბრალო შეკითხვაზედაც ხერიანი პასუხი არ გაუცია „წყალწყალა“ ორატორებისათვის და ყველა საკითხში ერთი პასუხი ჰქონდა: „არ ვიცი“ „სახსარი არა გექონდა“, „არ შეგვიძლიან“ „თქვენ გააკეთეთ და მოგვართვით“ და სხ. და ბ.ნი კორდელი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ მეთოდით, ყველა გამოძღვანებულ უსაქმურობას ხელს აფარებს, გასაოცარი სისწორით მისდევს იმ ანდაზის აზრს, რომლის ძალითაც... ზოგის ძვალი არ გატყდება: მართლაც „სახალხო გაზეთის“ სულის ჩამდგმელნი მრავლობენ გამგეობაში და წ. კ. საზოგადოებას კი სული ამოხადეს. ბ.ნო კორდელი, „ქუდი დადე და სამართალი ისე ჰქმენო“, ნათქვამია. ქართულს საქმეს წამხდარსა რაღა მაგისთანა ხელის წაფარება უნდა? ცოტა მეტი გულწრფელობა, ცოტა მეტი, ბატონებო.

ტკბილი ფიქრები.

იმავე „სახალხო გაზეთის“ იმავე ნომერში სწერს ბატონი „სიტყვა“, ეს თანამედროვე ქართველთა იერგმია:

მე არა ერთხელ გამომითქვამს შიში იმის გამო, რომ ჩვენს მიწებს ხშირად ეცლებათ ხელიდან ჩვენს გლეხებს და გადადის უცხოელებსა და გადაითივლებსე, რომ ჩვენში ადგილების დიდი სიკვიწროვება და ნაცვლად იმისა, რომ გავატრებულის, გადაგვარებულის და თავქვე დაქანებულის თავად-აზნაურობის ადგილები ჩვენმა მშრომელმა კლასმა შეიძინოს*) ჩვენს მიწა-წყალზე სხვები სასლდებთან

*) კურსივი ჩვენია.

და ამით, სხვათა შორის, ათულებს და აძნელებს ერავნული საკითხის გადაწყვეტას ჩვენში. ეს, ერავნული კეთილდღეობის დამარტვეელი მოვლენასა და სჭირდა ამის წინააღმდეგ ბრძოლა.

ნეტა ვიცოდეთ, რა წესით უნდა შეიძინოს „სოფლის მშრომელმა კლასმა თავქვე დაქანებულის თავად-აზნაურობის ადგილები?—ნუ თუ სოციალისტურით? თუ უბრალოდ: **კერძო საკუთრების ყიდვით** ე. ი. სოციალისტური პრინციპის დარღვევით? ან თუ ტერიტორიის დაკარგვასთან ბრძოლაა საჭირო (ეს ხომ ანბანური კემმარტება გახდა), არ შეიძლება, „ღრმად ფესვებ გადგმულმა ერავნულმა (?) პარტიამ“ პატარა **საშუალებაც** გვიჩვენოს რამე ამ ბრძოლისა, **რეალური საშუალება**... გავლანძღოთ თუმანიშვილი, რომ აშურიანი გაყიდა, ამილახვარი დავგმობთ იგივე აშურიანისათვის და კეზელი მშვენიერი მამულის გაჩუქებისათვის?

მაგრამ ქვემოდ ბატონ „სიტყვას“ მოჰყავს ერთი საშუალება:

დაეს ჩვენ არ შეგვიძლიან დავეყაროთ ასეთს (ე. ი. ისტორიული) საქართველოს საზღვრებს; ეს არ შეესაბამება **სხვა ერების უფლებას, თანასწორობის დაცვას***) და არც ჩვენს საკუთარს ინტერესს: ისტორიული საქართველო რომ ავიდოთ, მაშინ მთელი თბილისის გუბერნია დაკარგულად უნდა ჩათვალოს, რადგან იქ ჩვენ ნახევარზედ ნაკლებნი ვართ და ქართველებს იქ ავტონომიას არავინ მოგვცემდა.**)

ჩვენ უნდა შევერთგდეთ ამ გარეშობას, რომ ისტორიული საქართველო და დევანდელი ერთი და იგივე არ არის.

ამ უკანასკნელ სტრიქონებს უზის კითხვითი ნიშანი, რაც ჩვენ კორექტურულ შეცდომად მიგვაჩნია კონტექსტის მიხედვით და მაშინ გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაზედ ბატონი სიტყვა გულუხვად ხელს იღებს **სხვა ერების უფლების დასაცავად** და ამავე დროს გვიჩვენებს: ვიბრძოლოთ ჩვენი ტერიტორიის დასაცავად. ეს პოლიტიკური უსუსურობა და უთავბოლობა ჰქმნის იმას, რომ არამც თუ ჩვენს ტერიტორიას ვერ ვიცავთ, ორთავ ხელითაც ურიგებთ სხვასა.

მწკლარტე ფიქრები

ს.-დ. მწკლარტე გაზეთი „ფიქრი“ ასე აბოლოვებს თავის წერილს პოლიტენიკუმის გარშემო ატეხილ ბრძოლის შესახებ:

*) ხაზი ჩვენია.

**) სხვაგან კი გვეძახიან ალბად: მოდით ავტონომია მიირთვითო.

ჩვენ, რა თქმა უნდა აქ ჩვენი ქვეყნისთვის სამ-
წუხაროს არაფერს ვხედავთ, რადგანაც, რაც უნდა
იყოს, თავად-ახსნურობას ისევე ბურჟუაზია გვირ-
ჩვენია. რაც უნდა იყოს ბურჟუაზია მაინც უფრო
პროგრესიული კლასია.

ჩვენც ერთი წუთითაც არ გვიფიქრია, რომ
ჩვენი შინაზრდილ სოციალ-დემოკრატიის „ფიქრები“
როდესმე სხვანაირად მოიმართოს. მათთვის
არ არსებობენ ფრანგები, გერმანელები, რუსები,
ქართველები, სომხები... არც მათი განსაკუთრებული
ინტერესები (თუმცა ამ აზრისა არიან მარტო სო-
ციალ-დემოკრატები საქართველოში), მაგალითად,
თუ ერთმანეთთან დააყენებთ ინგლისელს და ქართ-
ველს და ჰკითხავთ ჩვენს ჰკვიან სოციალისტებს:
რა ეროვნებისა არიან ეს ორი კაცი? გიპასუხებენ:
პირველი ბურჟუაა, მეორე თავადი. ასეთი „პრინცი-
პიალური ხალხია ჩვენი სოციალ-დემოკრატია. და
როდესაც ქართველები და სომხები იბრძვიან ხოლ-
მე, უსათუოდ პირველთ თავად-ახსნურთა კლასში
მოაქცევენ ხოლმე და მეორეთ—ბურჟუაზიისა, და
მასთან პირველნი უსათუოდ შავრაზმელად და ზუბ-
რებად არიან გამოცხადებულნი, და მეორენი პროგრე-
სისტებად და დემოკრატებად. ამით თუ აიხსნება ის
ძმობა და ერთობა, რომელიც სუფევს სოციალ-დე-
მოკრატებსა და სომხებს შორის; მეტადრე როდე-
საც ქართულ საქმიანობას გაშმაგებულნი ებრძვიან...
მაგრამ სისულელესაც მგლის კბილები გამოუჩნდება
ხოლმე და ამ მხრივ ჩვენ კარგად გვესმის ჩვენს
სოციალ-დემოკრატებს უფრო რატომ ურჩევნიათ
„პროგრესისტი“ სომეხი ა. ხატისოვი—ქართველ
თ. აბუაზს.



მეფე ლევონის ბარონები

(სომხური ბაღვალა)

„ტიფლისკი ლისტაკში“ და-
ბეჭდილია მელიქ-სეტ-ბეკოვის
გამოკვლევა, რომ სომხური „ბა-
რონები“ წარმოსდგენენ ბარონე
ბისაგან.

მეფე ლევონი იჯდა ტახტზედა,
ასე ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
რად მინდა ჩემი ოქროს თახჩები,
რად მინდა ჩემი პარონ-ახჩები!
მე მინდა მქონდეს სულ სხვა წესები,
მყვანდნენ ბარონნი, ბარონესები.

მეფე ლევონი რუბენიანი
იყო ბარონის გუნებიანი!



მეფე ლევონი იჯდა ტახტზედა
ასე ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
მე ჩემ პარონებს, ვიფიცავ დედას!
გავაბარონებ სულ ზედი ზედა!
დავიკიდებ არშინს, დავიკიდებ „გირსა“,
და მით დავიპყრობ ქვეყნისა პირსა!
მეფე ლევონი იყო სვიანი,
იყო სვიანი და თან ჰკვიანი!



მეფე ლევონი იჯდა ტახტზედა,
აღარ ფიქრობდა სომხის ხალხზედა:
ანლა სტიროდა ოქროს თახჩებსა
და იგონებდა პარონ-ახჩებსა.
თავს გრძნობდა ცუდათ, არ მეტყველებდა
და სიბრაზისგან სულ ახველებდა...
რომ ის პარონებს უძახდა ბარონს
ხალხი კი მეფეს კვლავ - ლევონ-პარონს!

ფარსმან-ფარუხი.

(მ. ამილხუანი)

ბედნიერი პრინცი

ოსკარ უაღდისა.

ვეებერთელა სვეტის სიმაღლიდგან ვადმოსცქეროდა
მთელს ქალაქს ბედნიერი პრინცის ძეგლი. ის მთლად
შებურვილი იყო წმინდა ოქროს სიფრიფანა ფურცლებით,
თვალეების ადგილს უბრწინავდა ორი იშვიათი საფირთნი,
ხოლო ხმლის სხეულურს უმშვენებდა უშველებელი სის-
სლივით წითელი ღაღი.

ვეელა ადტაცებუდი იყო ბედნიერი პრინცი.

— იგი ისევე მშენიერი, როგორც ფლიუგერის
მამალი, — წარმოსთქვა მუნიციპალიტეტის ერთმა წევრმა,
რომელიც უფრო სწლილობდა თავი ექვ თავისი იშვიათი
არტისტიული გემოვნებით; რასაკვირველია, ნაკლებად
სასარგებლოა, — დაუმატა მან, რადგანაც შეკმინდა უზნაქ-
ტიკობა არ დაეწამათ, რაც სრული უსამართლობა იქნე-
ბოდა.

— ნეტავ ბედნიერ პრინცს დაემსგავსა, — ეუბნებო-
და მტრმთობარე დედა თავისს ჰატარას, რომელიც ტი-
რილით მთვარისკენ იწვევდა ხელს. — ბედნიერ პრინცს აზრა-
დაც კი არ მოუვიდოდა რაზედმე ტირილი.

— კარგია, ქვეყნად რომ ერთი ბედნიერი მაინც
მოიპოვება, — ჩაიხურჩუელა ბედი დევნილმა, ამ მშენიერ
ქანდაკებას რომ შესედა.

— ნამდვილ ანგელოზსა ჰქვავს, — ამბობდნენ თავშესაფარის ბავშვები თავისი წითელი ტანისმოსით და სუფთა თეთრი ფეშქაშლებით დიდს სობორდგან რომ გავმოდიოდნენ.

— თქვენ რა იცით? — ჰკითხა მათ მათემატიკის მასწავლებელმა. — განა ანგელოზები გინახავთ როდისმე?

— ახ, ისინი ჩვენ სწორად გვეცხადებიან სიზმრებში, — უხასუხეს ბავშვებმა; და მათემატიკმა სსტიკად მოლუშა წარბები: იმას არ მისწონდა ბავშვების ეს ჩვეულება, რომ სიზმარს ხედავდნენ.

ერთხელ დამით ქალაქზედ გადაიარა ჰატარა მერცხლმა. მისი მკვებობები უკვე ექვსი გვირის წინ ეგვიპტეში გაფრინდნენ; ის კი დარჩა, რადგანაც ვერ შესძლო გაშორება და მამას ღერწმუნ, რომელმაც დაიპყრო მისი გული. აღიარა გაზაფხულზედ გაიგნეს ერთმანეთი. უფითელ ბავშვებს რომ მისდევდა წყალზედ, მერცხალი უბრად შეჩერდა ღერწმუნს წყაროზედ მოფხინილობით მოჰყავდალეული.

— ნება მომეცით, შეგიუფარო! — დაუთქურებლად შესძახა მან.

და ღერწმუნმა კვლავ უფრთხვით თავის დარჩევით უხასუხეს.

და ამის შემდეგ მერცხალი სულ იმის ირგვლივ დატრიალდა, ხან წყალს დაჰკრავდა ფრთას და ვერცხლებრივ წინწკლებს აკურებდა მიდამოს, ასეთი იყო მისი მოფხურობის წესი. ასე გავიდა მთელი ზაფხული.

— რა გასაკვირვი ერთგულბაა! — ჰკვირდებდნენ სხვა მერცხლები: იმას ფულები სრულებით არ აქვს და ნათესაობა კი ბევრი ჰქვავს.

და მართლაც, მთელი მდინარე ღერწმუნთ იყო მოფხინილი.

შემოდგომასზედ კი მერცხლები გაფრინდნენ. ამის შემდეგ ჩვენმა მერცხლმა მარტობა გგონო და თავის სტროფს გაუცვივდა. იმან სრულდებით არ იცის ლაზარაკი, — გადასწევიტა მან, — და ამასთანავე რაღაც ტუნტრუვი კვლავიცა, მიუღამ კურგურება ქარსა.

და მართლაც, როცა უნდა წამოებერა ქარსა, ღერწმუნში მოხდენილი საღმთი ეგებებოდა მას. ვამჯერა, რომ ძალიან უყვარს თავისი სახლი, — განაგრძობდა მერცხალი თავისთვის სვლა-ოქრს, მაგრამ მე მოგზაურობა მიუყვარს და ჩემს ცოლსაც უნდა ჰქონდეს ცოტადენი მანინ მიმდრეკილება ამ გვარივე.

— თანახმა ხარ, რომ თან გამომეყუთ? — ჰკითხა ბოლოს იმან თავის სტროფს, მაგრამ ღერწმუნმა თავი გააჩნია; ის ისე გულთ იყო თავისი სახლთან დაკავშირებული.

— მამ თქვენ მხოლოდ მეთამაშობდით. — წარმოსთქვა გულმწურავად მერცხლმა. მშვიდობით, მე კი გავფრინდები ზირამილებთან.

და გზას გაუდგა. მთელი დღე იფრინა და საღამოთი ქალაქს მიატანა.

— სად გავათო ამდამ? — სთქვა იმან, — იმედია, აქურები კარგად დამიხვდებიან.

აქ იმან დაინახა მალას სვეტზედ ამართული ძეგლი.

— აი სად დავისვენებ! — წამოიუვირა იმან, — აქ მშვენიერი მდებარეობაა და ასეთი ხალვათობაც.

ამ სიტუციით იგი დაეშვა სწორედ ბედნიერი ჰრინცის ფეხებთან.

„ოჰო, ოქროს საწოლი მქონია!“ — გაეხარდა იმან, როცა სძლილად ემზადებოდა და ირგვლივ მიმოიხედა; მაგრამ ის იყო ფრთას ქვეშ უნდა თავი დაემალა, როცა გორც ერთი კარგი მარხდელი წვეთი ზედ დაეცა.

— ეს რა ამბავია! — წამოიძახა მერცხლმა, — ცხვირზედ ღრუბლის ნამტეცი არა სჩანს, ვარსკვლავები ნათლად კაშკაშობენ, წვიმა კი მანინ მოდის. დმერთმანი, ამ ჩრდილოეთ ვერონაში საძაგელი ჰვავს! ჩემს ღერწმუნს წვიმა უყვარდა, მაგრამ ეს სრული ეგობრობა იყო...

მაგრამ აი კიდევ მეორე წვეთიც დაეცა.

— რაღა სარგებლობა მაქვს ამ ძეგლისკენ, თუ ის წვიმისკენაც კი ვერ დამიფარავს? — წარმოსთქვა მერცხლმა. — უნდა სხვა თავშესაფარი მოვძებნო სადმე ბუნხართან სახლის სახურავზედ.

და უკვე ამბობდა სხვაგან გაფრინებას.

მაგრამ ვერ ფრთების გაშლა ვერ მოესწრო, როცა გორც შესამე წვეთი კვლავ ზედ დაეცა. იმან მალას აისედა და რა დაინახა?

ბედნიერი ჰრინცის თვალები ცრემლით იყო სავსე და მსხვილ წვეთებზედ მოდიოდნენ მის დაწვებზედ. იმისი სახე მთავრით გაშუქებული ისე ღამაზი იყო, რომ ჰატარა მერცხლის გული სობრალულით ავისო.

— ვინა ხარ შენ? — ჰკითხა მერცხლმა.

— მე ბედნიერი ჰრინცი ვარ.

— მამ რაღადა სტირი? კვლავ შეგვითხა მერცხალი, — აი, სრულიად დამსვენელი.

— როცა ცოცხალი ვიყავი და ადამიანის გული მქონდა, — უხასუხა ჰრინცმა, — არ ვიცნოდი ცრემლი რა იყო. ვცნობობდი Sans Soucis სასახლეში, სადაც დარდას და ვარამს აკრძალული ჰქონდათ შემოსვლა. დღე ჩემს კარისკაცებთან ვთამაშობდი, დამეს კი დიდს დარბაზში ვატარებდი ცეკვაში. ჩემს ბაღს შემოვლებული ჰქონდა დიდი და მალალი კვლევი, და მე არც კი ვცნობობ ვარ გაშეგო, იმას იქით რა ხდებოდა, — ჩემს ირგვლივ უყვალა ისე ღამაზი იყო! კარისკაცები ბედნიერს ჰრინცს მეთანდენენ, და მე მართლაც ბედნიერი ვიყავი, თუ ბედნიერება სიამოვნებაში მდგომარეობს. ასე ვცნობობობი,

სიკეთე მოგვკადი. და აი ესლა, როცა ცოცხალი აღარ ვარ, იმათ ისე მდლას ამიუკანეს, რომ მე შემოდის ეოველს გაჭირვებასა და სიღატაკეს ჩემი ქალაქისა ვხედავდე, და თუშტა ჩემი გული ტყვიისა, მაინც არ შემოდის ცრემლები შევიკავო.

— როგორ, განა ის ნამდვილი ოქროსი არ არის? — გაიკვირვა თავისთვის შერცხლმა; ის, იმდენად ზრდილობიანი იყო, რომ ამგვარ შენიშვნას, რომელიც ზიროვნებას შეეხებოდა, ხმამაღლა არ იტყოდა.

— იქ, შორს, — განაგრძობდა ზრინცი ჩემი, მუსიკალური ხმით, — შორს, ზატარა ქუჩაზედ სდგას ერთი უბრალო სახლი. მისი ერთი ფანჯარა დიახ, და აი შევხედავ მაგიდასთან მიმდარ ახალგაზრდა ქალს. რა დაღაღუღი, ფერმართალი სახე აქვს, მუშაობისგან ტლანქი ხელები და თითები შთაღ ნემსით დასწვლეულია — ის ოქრომკედით შქარგავია. მომავალ მეფლისისთვის საუცხოვო ქარგას ავლებს დედოულის ერთ-ერთ უღამაზეს ფრეილინისთვის. ოთახის კუთხეში კი მისი ბავშვი ავადმყოფი წევს. სიცნეში ის აქეთ-იქით ედებს და აწვლისინებს თხოულობს. დედას კი არაფრის მიტემა არ შეუძლიან გარდა უბრალო წველისა, და ამიტომაც სტორის. შერცხლავ, შერცხლავ, ფრთა-მხვილო შერცხლავ, წაუღე იმას ლაღი ჩემი ხმლის ტარიდგან: ჩემი ფეხები კვარცხლებებს მიწებებულა და მე არ შემოდის ამ ადგილიდგან დაეძრას.

— მე ეგვიპტეში მიცდიან, — უხასუსა შერცხლავა. — ჩემი მეგობრები, როცა წველის დასწვრავ მიფრენენ, ღოტოსის უგავილს ემუსიფებთან. ჩქარა ისინი დიდებულ ფარანების განსასვენებელს ადგილს გაფრინდებთან. თვით ფარანი წვეს იქ თავის გამშვენებებულ კუბოში. ევითელ ქსოვილებშია შესხეული და ნელსაწვებლითაა შებურვილი მისი გავში. ეელზედ აგდია გრძელი ძეწკვი მერთალ-მწვანე კუმის ქვისა, ხელა მისი ხელები ფერდაკარგულ ფოთლებს მიაგავს.

— შერცხლავ, შერცხლავ, ზატარა შერცხლავ, — უთხრა ზრინცმა: — ოჰ, ნეტავ შენ ერთს ღამეს მაინც დარჩე ჩემთან და ჩემ მცდიქულად იყო! ბავშვი სიციხით იწვის, წვერვილი. სტანჯავს, დედა კი ისე დანადგლიანებულა.

მართალი ვითხრა, ზატარა ბიჭები არ მიეგვანან, — უხასუსა შერცხლავა. — ზარმან საფხულს, როცა წველის ზირად ვცხვორობდი, მეწისქვილის ორ ბავშვს ვიცნობდი და ისინი ეფუელთვის ქვებს მესროდნენ. რასკვირველია, ვერ მომახედავს! ჩვენ, შერცხლები საკმაოდ კარგა ვფრინავთ, და ამის გარდა ჩემი წინაპრებიც განთქმულნი იყვნენ თავის სიზარდათ. მაგრამ იმათი მხრით ეს მაინც უზრდელობა იყო.

მაგრამ ბედნიერი ზრინცი ისე სეკდიანად უძქროდა, რომ შერცხლავს შეეცოდა ისა. — აქ ძლიანს ცივა, უთხრა შერცხლავა, — მაგრამ მე მაინც ერთს ღამეს გავატარებ შენთან და შენს დაფლებას ავასრულებ.

— გამაღობ, ტურფა ფრინველო, — უხასუსა ზრინცმა.

და აი შერცხლავა ნისკარტით ამოადრო ხმლის სახელურს ლაღი და ქალაქის სახურავებზედ გადაფრინდა.

გ. ნამორადე.

(დასასრული იქნება).

ფელეკონი

ესთეტიური კულტურა

II

გადავიდეთ ახლა სხვა მხარეს. აი მიუნხენი, ეს ახალი ათინა, სახელგანთქმული „ქალაქი ხელოვნებათა“. ცნობილი „ღარბაზი კაიმისა“, წარმოშობილი ფნატიკოსი დოქტორი კაიმის მიერ. დირიჟორის პულტთან ნიჭიერი ფელიქს ვენიგარტენია.

დამსწრე საზოგადოება სმენად გადაქცეულა. რომ იტყვიან, სწორედ ქინძისთავი არსად ჩავარდებდა. ყველას ხელში უჭირავს საღამოს „პროგრამა“. და ეს პროგრამა განა ჩვეულებრივად მხოლოდ უსულ-უფულო ჩამოთვლია მისი, რაც უნდა შეასრულონ, ის სავეა ტექსტით, რომელიც ყოველ შესრულებულს ნაწარმოებს ხსნის.

მერე რას ასრულებენ აქ? აი ერთი პროგრამა:

სამგლოვიარო მარში ზიგფრიდის სიკვდილზედ ოპერიდგან „ღმერთების დაღუპვა“.

უვერტიურა „პარსევალისა“.

ღვთიური „მეხუთე“ ბეტხოვენისა.

„პათეტიური“ სიმფონია ჩაიკოვსკისა.

აი მეორე პროგრამა:

1. გენდელი და ბახი (Concerto grosso.)
2. გაიდნი და მოცარტი. (სიმფონია)
3. ბეტხოვენი (4 სიმფონია).
4. მენდელსონ-ბარტოლდი (იტალიური სიმფონია).
5. ბრამსი (მეოთხე სიმფონია და საფორტეპიანო კონცერტი).

ახლა თქვენ დააცქერდით, ვინ უგდებს ამას ყურსა. აქ თქვენ ვერ შეხედებით ვერც აბრეშუმის კაბებს, ვერც ბრილიანტებს, ვერც კარგა გამოწყობილ ბილს ფრაკებს. აქ მხოლოდ უბრალოდ ჩაცმული ქალებია და პიჟაკიანი კაცები.

მერე როგორ გაჩნდა აქ ამ გვარი „მდაბალი“ საზოგადოება, და ვანა შეუძლიან ამისთანა რთულს სიმფონიურ კონცერტებს ყური უგდოს? მერე მაშინ, როდესაც მათი ამასრულელებელი ასეთი გენიალური ღირსიყოფია, როგორც ვეიგარტენი?

ღიად, ეს კონცერტი მუშა ხალხის კონცერტია, ეს გახლავთ ვერედ წოდებული „სახალხო სიმფონიური კონცერტი“.

და ბეტხოვენის, მოცარტისა, გაიდნისა, ვაგნერისა, შტრაუსის საკვირველ-სასიამოვნო ჰანგები ღირს აქ ზღაპრულ იაფად — თხუთმეტი რიგის სავარძლები ღირს 50 ფენინგი (25 კაპ.), დანარჩენი რიგების სავარძელი — 15 კაპ. არის კიდევ ამაზედ უფრო იაფი ადგილები. დიდი ვეებერთელა პრაგრამა, რომელიც ყველაფერს უხსნის და თითქმის მთელი ტრაქტატია მუსიკის შესახებ ღირს 5 კაპ.

თავისი იდეის ფანატიკოსი დოქტორი კაიმი პირველი შეეცადა სისტემატიურად გაეტარებინა ხალხში უკვდავ მემუსიკეთა დიდებული ნაწარმოებნი. და არა უბრალო ასრულებით, არა ისეთ გვარად, როგორც ჩვეულებრივ მართავენ „ხალხურ კონცერტებს“, მას უნდოდა, ხალხს გაეგონა ამ ნაწარმოებთა ასრულება საუკეთესო მემუსიკეთა და ღირსიყოფათა მიერ. მისი პრინციპით, ან სულ საჭირო არ არის ხალხური კონცერტები, ან თუ ვმარ თავთ მათ, უნდა საუკეთესოდ იყვნენ ისინი მოწყობილი. ქეშმარიტი ესთეტიური აღზრდა ხალხისა შეიძლება არა სურროგატებით, არამედ ნამდვილ, ღიად, წმინდა ხელოვნებით. და აი ამიტომაც „სახალხო სიმფონიურ კონცერტებს“ მიუნხენში ვეინგარტენთან ერთად ასრულებენ და ღირსიყოფის გერმანიის ყოველი გამოჩენილი ღირსიყოფი.

დოქტორი კაიმი პიონერი იყო ამ საქმისა. მიუნხენის მაგალითს გერმანიის ბევრმა ქალაქმა მიბაძა. და მიბაძეს არამტუთ დიდმა ქალაქებმა, შუათანა და პატარაებმაც. და ესლა თითქმის მთელი გერმანია მოფენილია ამ გვარი საზოგადოებებით, რომლებსაც შეაქვთ ფართო მასსაში კლასიური მუსიკა და მისი შეგნება. და თვით მიუნხენშიაც კი დოქტორ კაიმის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად „სახალხო სიმფონიურ კონცერტებს“

ტებს“ მართავს მეორე ორგანიზაცია — „სახალხო ხელოვნების კავშირი“, რომელსაც ხელმძღვანელობს გამოჩენილი კაპელმეისტერი ბერნგარდ სტავენგაგენი.

ახალმოსული.

ჩემი ძასილი

მე ამიკრძალეს წინად ტირილი და გულამოსკენით იმის ჩივილი, რომ ბედი მრუდეთ გვახეტიალებს და საცა არ გვსურს, გვიხუჭავს თვალებს. აი ამიტომ ჩემმავე ძმებმა ამითვალწუნეს, გამტყორცნეს შორსა და მომისაჯეს უდაბნოდ შედგმა ბედით ნათესავს და თანასწორსა. მაგრამ სამოსი გამოვიცვალე, დავიარები ქვეყნიდან ქვეყნად, ბაბილონელთა ცრემლით მტირალი ქართლშიგან ვდგევარ მოწყენილ ძეწნად. და ვტირი ისევ მე ზარიანად, ვეძახი მოძმეთ მიმოფანტულთა, მოვიდნენ ნახონ თუ გლოვიანად რისთვისა ვტირი, რად ვიჩნევ წყლულთა. მოვედინ კაცნი, იხილეთ სული, ხორც-შემოკლილი და გაძარცული, რამეთუ იგი თქვენია პირი, რომლისთვისც ასე ხმინად ვტირი!..

ორენა.

კორექსონდენცია

ს. გურჯაანი

24 ნოემბერს აქ გაიმართა კრება საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენელთა „კახეთის კავშირის დასაარსებლად 1911 წ. 13 მკათათვეს ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებული წესდებით. დაესწრნენ წარმომადგენლებისა გურჯაანის, ველისციხის, ბაკურციხის და კარდანახისა. როგორც თვითონ წვრილ კრედიტის ინსპექტორმა ვ. ლ. ვიფორსმა განმარტა, არ იყო საჭირო, რომ ყველა ამხანაგობას მიეღო მონაწილეობა კავშირის დაარსებაში. დანარჩენთ შემდეგშიც შეუძლიანთ შეუერთდნენ ამ კავშირს. ესეთივე კრება ვიფორსმა მოახდინა 3 გიორგისთვის თელავში ხუთი ამხანაგობის

წარმომადგენელთა და პირველად იქ გადასწყვიტეს კავშირის დაარსება და სათანადო შუამდგომლობაც აღძრეს.

კავშირის წესდებაში რამდენიმე მუხლი დაუმატეს: 1. „კახეთის კავშირის“ გაშვება იქნება ქ. თელავში. 2. ერთ ღროული საწვერო გადასახადი თვითეული ამხანაგობისთვის იქნება 50 მ. და პაისთვის ყოველ წვერზედ 50 კ. 3. ამხანაგობა, რომელსაც 300 წვერზედ ნაკლები ჰყავს კავშირში რწმუნებულად გზავნის ერთ წარმომადგენელს, რომელსაც 300—600-მდე — ორს და ვისაც 600 წვერზედ მეტი ჰყავს, ის სამ წარმომადგენელს.

აღძრა აგრედვე შუამდგომლობა, რომ კავშირის მიეცეს ძირითად თანხად 30 ათასი მანეთი.

ამ გვარად იმედია მალე კავშირიც განხორციელებული იქნება, თუ უმაღლესმა მთავრობამ აქაც „საშიში“ არა იპოვარა მის დემტიკების დასაბრკოლებლად. დამტიკებამდის კი გამოითქვა ის სურვილი, რომ საშუამავლო ოპერაციები ამხანაგობებმა ერთად აწარმოონ ამ წლიდგანვე, რადგან ერთბაშად გამოწერა საჭირო მასალისა და იარაღებისა უფრო იაფად დაჯდება. ერთ-ერთ წარმომადგენელს უკვე დაევალა თავდარიგს შეუდგეს ეხლავე. კრება შეეხა აგრედვე მწვავე საკითხს—ფილოქსერის მოლოდინს და გადასწყვიტა, რომელ ამხანაგობასაც შეეძლება ახლო მომავალში ადგილობრივ გამართოს საკუთარი სანერგე ამერიკული ვაზისა, როგორც წვერთა საჭიროებისთვის, ისე გასასყიდად არა წვერებზედ.

ამ სანერგის მოსაწყობად ამხანაგობას შეუძლიან ისარგებლოს სხვათა შორის იმ თანხიდანაც, რომელიც ამ ჟამად წოველ ამხანაგობას აქვს მიცემული სახელმწ. ბანკისგან განსაკუთრებით გრძელ ვადიან სესხის სახით 300 თუმნამდე თვითეული წვერთათვის მათ მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ახალი წარმოების შესაქმნელად. ამ შემთხვევაში სანერგე ყოველი წვერისთვის საჭიროა ახლო მომავალში და მაშასადამე ყველა დასთმობს ამ თანხით კერძოდ სარგებლობას, რათა საერთო საქმე — სანერგე მოგვარდეს. ფრად სასურველია, რომ ესეთი სანერგეები მართლა მალე მოეწყოს თვითეულ საამხანაგო რაიონში და თუ ქართული სამეურნეო საზოგადოების აგრონომ-ინსტრუქტორები სახელმძღვანელოდ დაეხმარებიან ამ ამხანაგობათ, ესეც ძლიერ სასურველი იქნება და ნაყოფიერი.

ძვევრელი.

უკანასკნელი ამბები

ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების მორიგი კრება შაბათს, 30 გიორგობისთვის მოხდა დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში საღამოს 8¹/₂ საათზე.

შ. ამირაჯიბმა წაიკითხა მოხსენება საქართველოს თანამედროვე მდგომარეობაზე და ქართველთა ეროვნულ კულტურულ საქმიანობის შესახებ. შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს **ე. თაყაიშვილმა**, **გ. ჟორდანიამ**, **გ. მამრაძემ** და **ვაჩანძემ**, **ი. ჭყონიამ** და თვით რეფერენტმა.

უკანასკნელ, კრებამ აირჩია საზოგადოების ახალი წევრები, აგრედვე საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებიც.

საბჭოს წევრებად, მის თანამედროვე შედგენილების გარდა (**გ. ჟორდანი**, **რ. გაბაშვილი** და **ვ. გორდენიანი**), რომლებიც კვლავა რჩებიან, არჩეულ იქმნენ სამის წლით: **შ. ქართველიშვილი** და **ვ. აბდუშელიშვილი**.

კანდიდატებად: მწერალი **განდევგილი**, **ქნ. ა. ამირაჯიბისა**, **მ. გაბაშვილისა** და **ო. აღლაძისა**.

სარევიზიო კომისიის წევრებად: **ვ. დ. გაბაშვილი**, **დ. ვ. ვაჩანძე** და **შ. ამირაჯიბი**. კრება დაიშალა 11 ნახევ. საათზე.

როგორც გვატყობინებს ჩვენი კორესპოდენტი, კახეთში—ქ. სიღნაღსა და სოფ. ვაჩანძიანში დაუარსებიათ მომხმარებელი საზოგადოებანი, ნებართვაც მიუღიათ და ახლო მომავალში დაიწყებენ კიდევაც მოქმედებას. სიღნაღის ამხანაგობას დარქმევია სახელად „მეგობარი“ და ვაჩანძიანისას „მომავალი“. რედაქცია გულწრფელ საღამს უძღვნის ამ ამხანაგობათა დამაარსებელთ და უსურვებს მკოდნე პატიოსან გამრჯელ პირთა შოვნას საქმის წარმატებისათვის.

ხიზანთა კანონ-პროექტი ქ. პეტერბურგი. 29 ნოემბერი 1913 წ. „ვაუწყებ რედაქციას, რომ სტრელობიკის მიერ აშენებულ ხუხულას, გუშინ საადგილ-მამულო კომისიამ წინდის ჩხირი გაუყარა და ხუხულა დაიფუშა.“

ა. ყ.

ამ შინაარსის ღია ბარათი მივიღეთ პეტერბურგიდან ჩვენი პატივცემული თანამშრომლისაგან.

მასთან დებუებმა უფრო დაწვრილებით გვაუწყეს, რომ ამიერ კავკასიის მთავრობის მიერ შედგენილი ხიზანთა ინსტიტუტის მოსპობის კანონ-პროექტი სახელმწიფო სათათბიროს საადგილ-მამულო კომისიამ ვერ სცნო დასაბუთებულად და არ მიიღო. მის უკუდგებას ხელი შეუწყო დეპუტატმა ვ. გელოვანმა და დღეს ეს პროექტი საადგილ-მამულო „პოლკომისია“-ს გადაეცა, რომელმაც მოსთხოვა სანამესტინიკოს უფრო საბუთიან ცნობების მიწოდება. 1 თებერვლამდის 1914 წ. ეს ცნობები უნდა შეგვსებული იყოს და მასთან კანონ-პროექტის სახეც შესამჩნევად შეცვლილი და, უნდა ვიფიქროთ ქართველობის სასარგებლოდ. მაინც ჩვენმა ბრძოლამ ამ უსამართლო პროექტის წინააღმდეგ დღეს-დღეისობით უნაყოფოდ არ ჩაიარა.

თავად-აზნაურობის დებუტატთა საკრებულოს საყურადღებოდ. თავად-აზნაურულ წრეებში ყველგან ლაპარაკობენ საგანგებო კრების მოწვევის საჭიროების შესახებ. თავად-აზნაურობა დაინტერესებულია იმით, თუ რა ზომები იყო მიღებული დეპუტატთა საკრებულოს მიერ, რომ პოლიტეხნიკუმი საბურთალოში ყოფილიყო აგებული. თავად-აზნაურობა, აგრეთვე, დაინტერესებულია იმით, თუ რა ბედი ელის იმ მიწებს, რომლებიც თავად-აზნაურობის ხელშია ამ ჟამად. რადგანაც ასეთი კითხვები საზოგადოებრივ მნიშვნელობას არ არიან მოკლებულნი, უნდა ვიფიქროთ, რომ თვით დებუტატთა საკრებულო უნდა იყვეს დაინტერესებული საგანგებო კრების მოწვევით. რამდენადაც ჩვენ გავიგეთ, კერძო პირები უკვე, ადგენენ განცხადებას, რომელშიაც ასეთ კრების მოწვევის შესახებ იქმნება აღძრული საკითხი გუბერნიის მარშალთან. საჭიროა, რომ ასეთი კრება რაც შეიძლება მალე შესდგეს.

ნავთლულში უჩასტკების შესაძენად ქალაქის თვითმართველობაში კიდევ 5000 სომეხს შეუტანია თხოვნა. ზოგი ალაგებს დესეტინობლივ ითხოვს.

ტერგასპარიანცის დათხოვნა. ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა უკვე იციან სომხის პატრიოტ ტერგასპარიანცის პედაგოგიური მოღვაწეობა ქართულ სახალხო სკოლებში. ტერგასპარიანცი როგორც ჩვენს ჟურნალში უკვე გვქონდა არა ერთხელ აღნიშნულ, სკოლებიდან ქართველ მასწავლებლებს ითხოვდა და მათ მაგიერ მასწავლებლები სომხებიდან მოჰყავდა. როგორც ესლა დანამდვილებით გამოცხადდა, სომხის პატრიოტი პედაგოგი ტერგასპარიანცი მზრუნველის განკარგულებით სასახურიდან დათხოვილ იქმნა.

ხელის მოწერა ილია ჭავჭავაძისეულ სახლის გამოსასყიდათ. ცალკე კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ილიას სახლის გამოსყიდვის საქმე, დიდს უნარით შეუდგა ფულის შეგროვებას. საზოგადოება დღის საამოვნებით ეგებება კომისიის მოწოდებას და სულ მცირე ხნის განმავლობაში შემოწირულობა შესამჩნევად იზრდება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, თუ კომისია ესევე მხნედ განაგრძობს თავის მუშაობას, იგი განზრახულ თანხაზედ მეტს შეაგროვებს. რაკი კომისია უკვე არსებობს, ისევე ამიერ კომისიამ უნდა იღვას თავს ფულის მოგროვება და იმოდენა თანხა შეაგროვოს, რომ ამ ფულით თბილისის ილიასეულ სახლსაც მოეგლოს, ყვარლის მახულსაც და ჯვარსაც წიწამურის მიდამოში. ჩვენ მოუწოდებთ კომისიის წევრებს, რაკი მათი მუშაობა ასე კარგად მიდის და საზოგადოება ასეთის ხალისით ეპყრობა მათს მოწოდებას, ამ უკანასკნელ გარემოებასაც მიაქციონ ყურადღება. ყვარლის მამულისა და წიწამურის ჯვარისათვის არც თუ იმდენი თანხა იქმნება საჭირო.

საადგილ-მამულო კომისია. როგორც შევიტყუთ, დებუტატთა საკრებულოს აზრად აქვს ამ მოკლე ხანში საადგილ-მამულო კომისიის რეორგანიზაციის პროექტის განხილვა, რისთვისაც იწვევს სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

ბატონი გრიგოლ დიასამიძე

საწყალი მელა ჩიოდა არ მომივიდა ძილია:
 ერთსა საქათმეს მივაგენ, გამოუთხარე ძირია;
 იხვსა, ბატსა და ქათამსა, ყველას გავკარი კბილია...
 უკუ ვიხედე მომდევდა პატრონი გზირის შვილია,
 მთარზე გაედო კომბალი, გათლილი შინდის ძირია;
 გადმოშკრა, გადმომიშხივლა, ცამდე ავასხი ტვინია...

ბატონს გრიგოლ დიასამიძეს ჩემს წერილში მარტო მისი პიროვნების შეურაცხყოფა დაუნახავს და არსებითად დარღვევის მაგიერ, ჩემ მიერ წამოყენებულ ბრალდებისა, საკითხი გადააქვს ჩემი კილოს შეუფერებლობაზედ პრესისათვის და, რაც უფრო ხელსაყრელია მისთვის: პასუხისგების გარეშე მაყენებს. ამაზედ ადვილი არაფერია: როცა ვინმემ დასაბუთებული ბრალდება წამოგიყენოთ, მძიმე შთაბეჭდილების გასაფანტავად იგი ბრალმდე-

ბელი პასუხისგების გარეშე გამოაცხადოთ და თავი გამართლებულად გეგონოთ.

მაგრამ ქეშმარიტების აღსადგენად და ყოველი ჩემი ნახმარი სიტყვის დასამტკიცებლად მე ვეცდები მთლიანი სურათი წარუდგინო საზოგადოებას ბ-ნ გრიგოლ დიასამიძისა, რადგან ქართული საზოგადოება არა მარტო მეტად გულჩვილია, მეტად გულმავიწყიც და, თუნდა შემოჩენილი მტერიც იყოს ადამიანი, ოღონდ ხანდახან მიწყნარდებოდეს — ყველაფერს აპატიებს და დაუფიწყებს.

მარტო ამ ორი წლის განმავლობაში, რაც ჩვენმა ჟურნალმა დაიკაო გამოსვლა, გრ. დიასამიძეს იმდენი მძიმე ცოდვა ჩაუდენია, რომ ყველა სხვა კეთილშობილ საზოგადოებიდან იგი განდევნილი იქნებოდა.

1) დავიწყეთ მაგალითით ჩვენი პატივცემული და კეთილშობილი არჩილ ჯორჯაძისა. რა უტაქტოა, უსაფუძვლო და ულახათო საქციელით შესვარა მისი უმწიკვლო სული ბ მა დიასამიძემ და, ვგონებთ, მოუსწრაფა ცხოვრებიდან გასვლაც. მკითხველებს ეხსომებათ, რომ სახელმწიფო სათათბიროში აკაკის არჩევანზედ გ. დიასამიძისაგან ატეხილმა აურაზაურმა, რა დააწერინა არჩილ ჯორჯაძეს: იგი ამბობდა: აკაკი დიდათ პატივცემული და ერის სათაყვანო მგოსანია, მაგრამ მისი არჩევა პოლიტიკური პარტიისათვის ხელსაყრელი არ იქნებაო. ამაზედ გრ. დიასამიძემ ურცხვად და საქვეყნოდ, ნართაულად გადუქრა სიტყვა: შენ საზოგადოების ფულსა სქამ პენსიის სახით, თვით აკაკის ფონდიდან და რა გაღაპარაკებსო.

ამას მოჰყვა ცნობილი პასუხი არჩილისა: მე უარს ვამბობ პენსიაზედაო და, როგორც დანამდილეებით ვიცით, ამ ნართაულ ცილისწამებას ისე აუღელვებია ძვირფასი არჩილი, რომ უარესად გამხდარა ავად. ქვის გულსაც ააღელვებდა ესეთი უდიერობა, არამტეთ ავადმყოფს და უაღრესად ფაქიზ გულის პატრონს არჩილს.

ქართველმა საზოგადოებამ ეს დაიფიწყა, დაივიწყა ესა თვით გრ. დიასამიძემაც და დღესაც ვანაგრძობს ინსინუაციებს.

2) თვით ქართველი ერის მხცოვანი მამა, „პატრიარქი ჩვენის პოეზიისა“ — აკაკი, რა ხათაბალაში გახვია გრ. დიასამიძემ, ოღონდ კი სენსაცია შეეკმნა და ხალხი აეყაყანებინა: პოლიტიკურ, საკანონმდებლო დაწესებულებაში უნდა აერჩიებინა ხალხისათვის და რაკი შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა არ აპყვა ასეთს უაზრობას გრიგოლისას,

მთელი ქვეყანა შემოიხვია, იწერეთი და ამერეთი ალაპარაკა და აკაკიც ისე გააბრია-ბრუა, რომ იძულებულჲყო პირში ეთქვა: — „გიგო ყველა ეგ სისულელეაო.“

როცა ამისთანა მაგალითებს მოვიყვანთ ხოლმე ჩვენი აზრის დასასაბუთებლად, ბ-ნი გრიგოლი მაშინვე აბრუნდის იზავს, ნაწყენი და შეურაცხყოფილი პიროვნებას პოზას მიიღებს და მთავარ საგანის უარყოფას კი ვერც კი გაბედავს ხოლმე.

3) ამავე ინციდენტის გამოისობით, ბ-ნმა გრიგოლმა გალანძლა და ჩირქი მოსცხო ჩვენს ნიქიერს ახალგაზრდა პოეტს გრიშაშვილს და ჯაშუშობა დასწამა ხოლოდ იმიტომ, რომ აკაკის ლექსი დასაბეჭდათ მას კი არ მიუტანა, არამედ „სახ. გაზეთს“; და როცა გრიშაშვილმა ანგარიში მოსთხოვა და სამართალში გაიწვია, ბატონმა გრ. დიასამიძემ თავი არ გაუყადრა, ზეიდან ქვევით დახედა იმ პოეტს, რომელსაც წინად ულოლიავებდა და, ჩვეულებისამებრ, თავის რედაქციისაკენ მიეზიდებოდა. ამ ინციდენტშიაც ნათელია გრ. დიასამიძის პიროვნება, რომლის შეურაცხყოფას ასე ხშირად აეცილებდა ხოლმე.

4) ასეთივე უაზრო და ბოროტი ბრალდება მოახვია თავზედ ბ-ნს გ. ჟორდანისა, და მასაც არ გაუყადრა თავი სამართალში გასვლისათვის, რადგან იგიც, პასუხის გების გარეშე მდგარად მიაჩნია, ალბად, და პასუხი „სახ. გაზეთს“ სთხოვა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ჩამოთვლილიც კმარა იმის დასკვნისათვის, თუ ვინ არის პასუხის გების გარეშე მდგარი.

5) ილია ქავჭავაძის გვამიც არ მოასვენა და მიწყნარებული ბრძოლა განაახლა თავის უტიფარი გამოსვლით, საცა გვერდში ისეთი გადაგვარებული ადამიანის წერილები ამოიყენა, როგორიც ფილიპე მახარაძეა. მთელი ქვეყანა შესძრა და მოლალატეთ დაუპირისპირა — მარტო სენსაციისათვის და ბოლოს საუცხოვო რჩევა მისცა ქართველ საზოგადოებას: ამ საკითხის გარჩევა, მესამე პირს, რუსეთის ინტელიგენციის და პრესის წარმომადგენელთ გადავცეთო. ამას ქუთა არ უნდა?

6) როდესაც კახეთის რკინის გზის, ამ დიდ ეროვნულ საქმის საკითხი სწყდებოდა და ბ-ნმა პ. ი. თუმანიშვილმა გაპყიდა, გაცვალა ჩვენი ინტერესები საკუთარ ნავთის წყაროებსა და დირექტორობის ადგილზედ, გრ. დიასამიძემ — რომელიც, უეჭველია, დღესაც ვერ შესწვდომია ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას — დაბეჭდა თუმანიშვილის ქებათაქება და მისი გატეხილი სახელის აღსადგენად,

მასთან ჩაის სმის დროს, მთავრად ადრესი, რომელზედაც ყალბად მოაწერინა ხელი ისეთ მოღვაწეებს, რომელნიც მერე თითზე იკბენდნენ: ეპისკოპოსს ეგონა მართლმადიდებელ ეკლესიის დახმარების სამადლობელოაო, რეჟისორს—თეატრის დახმარებისაო, და სხვა ამისთანები. ყველა ეს შეთხზული იყო იმ კრებაზედ, რომელიც შეიკრიბა ავტოკეფალიის საკითხისათვის და ადრესი გამოუვიდათ კახეთის რკინის გზის გამყიდველის პრესტიჟის აღდგენისათვის. ესეც პატარა აბრუნდია, ხაზი გრ. დიასამიძის სახისა და ვგონებთ, ასეთი სპარსული მეთოდი მოღვაწეობისა, ემჯობინებოდა მოსახელე სახელმწიფოში გადაეტანა, საცა თუმანიშვილს კონცესიები აუღია ტყისა, და საცა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ქართველ მუშებს ცხრა პირ ტყავს აძრობენ. თუმანიშვილი გაგვიპარსელდა, ე. ი. სამშობლო ცას მოსწყდა, აწ თქვენი ჯერია.

7) თუმანიშვილის დაფნა არ აძინებდა ბნ დიასამიძეს, თუ ინდივიდუალური განსხვავების დამყარება უნდოდა აყაყანებულ „ბრბოსაგან“, არ ვიცით, მაგრამ თუმანიშვილს კიდევ გამოესარჩლა დიასამიძე და ერთ მშვენიერ დღეს, როცა აწ უკვდავი პავლეში ნიადაგს ჰკარგავდა, — დასტამბა მეორე ადრესი, მირთმეული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისაგან. ეს ადრესიც ყალბი გამოდგა იმ აზრით, რომ იგი მირთმეული იყო მაშინ, როცა კახეთის რკინის გზის საკითხში მოხდენილი ოინები თუმანიშვილისა ჯერ არავინ იცოდა და გრ. დიასამიძემ კი ისე დაბეჭდა (უთარილოდ), ვითომ იგი ადრესი დემონსტრაცია გამოდიოდა საისტ. საეთნ. საზოგადოებისაგან. ჩვენს შეკითხვაზედ, მუზეუმის გამგემ სონდულაშვილმა სიმართლე აღადგინა, რომლითაც დიასამიძე ნაწყენი დარჩა და მე და სონდულაშვილი, პასუხის მაგიერ—აბა რად გვაკადრებდა ნამდვილს პასუხს—პასუხის გარეშე მდგარად გამოგვაცხ და.

8) როცა სონდულაშვილმა დიასამიძე სამართალში გამოიწვია უკმები და უღირსი საქციელისათვის, იგი არ გაჰყვა სამართალში და პასუხი მოსთხოვა (?) ექ. თაყაიშვილს.

თაყაიშვილმა რაც „დასამშვიდებელი“ პასუხი მისცა, მარტო დიასამიძისთანა გულჩვილებს დაამშვიდებდა, რომელთაც თავგებივით ეშინათ, როცა კულზედ დააქერნ და თუ **სადმე გადახტომა ვეღარ მოახერხეს**, გაჩუმებას არჩევნ.

9) ხიზანთა საკითხს შესახებ დიასამიძემ „დემოკრატიული“ პოზიცია დაიჭირა და რაკი ამგვარი

პოზიცია ვალად არ ადებს თურმე ადამიანს საკითხების გამორკვევას და საკმარისად ხდის მარტო დემოკრატიულ ლაყობას, ბნმა გრიგოლმაც ჯერ მარტო ლაყობა დაიწყო: ჩვენ მხარს არ უჭერთ მთავრობის პროექტსაო, რადგან მთავრობას **მარტო თავ. აზნაურობის ინტერესები აქვს ამ პროექტით მხედველობაშიო** (!?). ნეტა წაუკითხავს მაინც ეს კანონ-პროექტი? ან თუ არ წაუკითხავს, გაუგონია მაინც, ისე, ზღაპრისავით, რა არის ხიზანთა საკითხი: საქმელია, სასმელია თუ სარედაქციო ნაცარქეჩობა. ვგონებთ, რომ ზღაპრადაც არ გაუგონია, რადგან ეხლანდელ პროექტს რაც გინდა დაარქვით, მაგრამ თუ იგი თავ. აზნაურობის ინტერესებს იცავს—ამას ჰქუადმყოფელი ვერავინ იტყვის. თვით უკიდურესი „დემოკრატია“ სახალხო გაზეთისა, და სოციალ-დემოკრატიისა, ისიც კი ვერ გაბედავდა ასეთს თავზეხელაღებულს უტიფრობას. მაგრამ გრიგოლს ყველაფერი შეუძლიან: იგი ხომ განყენებული პიროვნებაა, უადრესი ინდივიდუალიზმა, რომლისთვისაც არამცთუ საზოგადო კანონები, ლოლიკის კანონებიც არ არსებობენ.

მაგრამ ეს არაფერი—ეს ღვთისაგანაა და ბრალს ვერ დავდებთ, მაგრამ როცა თავისი აზრის გასამარჯვებლად იგი „დანოსს“ მიმართავს, სამართალი მოითხოვს ამას თავისი სახელი დავარქვათ და სასტიკი მსჯავრი დავსდოთ.

ჩვეულებისამებრ, დიასამიძემ, ეხლაც არ გააბათილა ჩვენ მიერ წამოყენებული ბრალდება, არ იუარა, არამედ... პასუხისგების გარეშე დააყენა ბრალმდებელი და სამართალში გამოიწვია შ. ამირეჯიბი (??!). ეს, როგორც ხედავთ, სისტემას ემსგავსება: პირდაპირ დაყენებულ ბრალდებას ბატის წყალივით თავზედ გადივლებს (КАКЪ СЪ ГУСЯ ВОДА), ბრალმდებელს პასუხისგების გარეშე განაცხადებს, სამართალში ვინმე **მესამე** პირს გამოიწვევს და ამგვარად საკითხს და შთაბეჭდილებას სხვა სფეროში გადიტანს ხოლომე, სფეროში ჟურნალისტურ ეთიკისა და ამა თუ იმ მაგარი სიტყვების ხმარებისა. მაგრამ ანგარიში შეგეშალათ ბნო გიგო, ფეხდაფეხ მოგყვებით და ნებას არ მოგცემთ ქართველი საზოგადოება ისევე გაამასხარავოთ თქვენის ფანდებით, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხ. ჩვენ კიდევ ბევრი სხვაც ვიცით თქვენ საქმეთა საგმიროთაგან, მაგრამ სადღეისოდ ესეც კმარა და იმ „სასამართლოში“, რომელშიაც თქვენ გინდათ სირაქლემასავით თავი დამალოთ, ჩვენ მოითხოვთ, **საჯარო** სამართალს (თუ კი ვისმე ეენ-

ტერესება ესა) და ყველა აქ აღნიშნულ ბრალდებას, რომლის პასუხს ეხლავე გთხოვთ, საბუთებით, დაბეჭდილი საბუთებით ხელში, დაგიმტკიცებთ.

მაგრამ ეს წერილი დასრულებული არ გვეგულვებოდა, თუ ზოგიერთი ჩვენი მკითხველის გაკვირვება არ გავფანტეთ: „განა ისეთი რა დასწერა, ვინმე კალმოსანმაო“, გვკითხავენ. წარსულ ნომერში (კლდე № 39) **განგებ** არ მოვიყვანეთ ციტატები ვაზ. „თემი“-დან, რომ დრო მოგვეგო პეტერბურლისათვის და დღეს კი შეიძლება მთლად მოვიყვანოთ ის ადგილები, რომელთაც გამოიწვიეს საერთო გულისწყრომა, ვინც კი ჩაუკვირდა და მიხვდა იმ სტრიქონების სიმდაბლეს, რომლებითაც ააქრელა თავისი გაზეთი ბ-ნმა დიასამიძემ.

ეხლა ერთადერთი და სახტომი აქვს გრიგოლს გამოაცხადოს, რომ თვითონაც ვერ მიმხვდარა, სად დაინახა გაბაშვილმა „დანოსი“:

როგორც სჩანს, სწორედ ამ სწორ-უშვარ ჰუმანისტის (ანდრეა ერისთავის) იმედი ჰქონდა იმ ნაწილს ქართველ თავდაზნაურობისას, რომელმაც 10 ამ თვეს აფრანკ პეტერბურგში ვაზ. „საკავკასიის“ ცნობილი ფაქტიური პატრონი, მახელები მახ. მახაბელი, და ქუთაისის გუბერნიის ყოფილი ვიცე-გუბერნატორი ალექსანდრე ვიფშიძე, რომელსაც ერთ დროს ჩვენი შეძლებული მებატონენი სთვლიდნენ თავიანთ მტრად, როდესაც იგი საგლეხო საკრებულს მდივნის თანამდებობას ასრულებდა (როგორც ყოველთვის, ამაშიაც თურმე სტვდებდნენ ჩვენი ჰაწია ბობრინსკები!).

ამ ზემოხსენებულ პირებისათვის მიუხედავად იმავე ნაწილს თავდაზნაურობისას, როგორმე მოახერხებ და ხაზნების მომსახიბე კანონ-პროექტის მსვლელობას შეაჩერეთ: კანონ-პროექტში ბევრი შეცდომებისა და მათ შესწორება სჭირდება.

აი ამ ცრუ „დანოსს“, — რომ ნამესტნიკის ახლანდელი და ყოფილი „მოხელენი“, ვითომ წავიდნენ პეტერბურგს, ნამესტნიკის საბჭოს კანონ-პროექტის შესაჩერებლად, ბატონი დიასამიძე უმატებს კიდევ:

საინტერესოა ანდრეა ერისთავის, ბობრინსკის, ზურიშკევიჩის, მარკოვ-შელოვის და სხვა ამთ მსგავსთა გარდა, კადევ ვის დაარწმუნებენ ეს ჩვენი ბრწყინვალე რეაქციონერების ბრწყინვალე დესპანნი?

და შემდეგ თავის ნომერში ახალ ამბად სწერს, რომ კანონ-პროექტის უარყოფა დეპუტატმა **გელოვანმა** მოითხოვაო. საბრალო გიგო, დაემალო

მინც თავისი მკითხველებისაგან ასეთი „წინასწარმეტყველების“ ასრულება.

ან იქნება გელოვანსაც, ამ „პირველი დემოკრატიული პარტიის“ (როგორც დიასამიძე ეძახის) წარმომადგენელს ზურგს შეაქცევს ჩვენი „გადემოკრატებული“ ბრწყინვალე თავადი გრ. დიასამიძე? იქნება იმასაც პურიშკევიჩის და მარკოვის სავარძელში ჩასვამს?

ესეც ნუ გავიკვირდებათ, ჩვენო მკითხველებო. გრ. დიასამიძისაგან, როგორც ზემოთაც დაინახავდით, ყველაფერია მოსალოდნელი და ერთ მშვენიერ დღეს რომ მთელი საქართველო ჯაშუშად, პასუხისგების გარეშე მდგომად გამოაცხადოს — სრული ჭეშმარიტება იქნება, რადგან ნამდვილი დემოკრატი, „კომუნო-რდივიდუალისტი“ და განსაკუთრებული პიროვნება იგი გახლავთ...

მანია... მანია ხომ არ გავგონდება, მკითხველო? ის კი არ იცის, რომ მის პიროვნებას ჩირად არავინ აფასებს და არც დააფასებდა, რომ საუბედუროდ საქვეყნოდ არ შეეძლოს თავისი უტიფრობის გამომყვანება საკუთარს გაზეთში. გრ. დიასამიძეს ჰგონია, რომ მას პირადი მტრები ჰყავს და მის პიროვნებას შეურაცხყოფენ. გულახდით შემიძლიან ესთქვა, რომ გრ. დიასამიძის პიროვნება სრულიადაც არ არის ჩემთვის საინტერესო და მის პირადი მტრობისათვის არავითარი საბუთი არა მაქვს მაგრამ როცა საზოგადო ეროვნულ საქმეში ის ხელს უწყობს ისედაც **შერყენილ აზროვნების** დამყარებას, როდესაც იგი შლის, გულუბრყვილოთათვის, საზღვრებს ერთგულებისა და ღალატისას სამშობლო საქმისადმი — მაშინ შეუძლებელია ადამიანმა აიტანოს მეტი და გულისწყრომით უკიდურესობამდის არ მივიდეს.

მე ველი პირდაპირს პასუხს ყველა აქ აღნიშნულ ბრალდებისას და საგნის მიკობ-მოკობვა რასაც დაამტკიცებს — ეს თვით მკითხველმა გაიგოს.

რ. გაბაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

გ ა ნ ც უ ა დ ე ბ ა ნ ი

ხეხილების გასხვლა

ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

უ მ ბ ი რ დ ე ბ ი ს მ ი ლ ე ბ ა .

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზრდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიქერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: თბილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.

Тифлисъ питомник С. С. Хетагури.

1894 წლიდან

1913 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო დ ვ ი ნ ო დ ი თ ვ ლ ე ბ ა დ ვ ი ნ ო

საზოგადოება „კ ა ხ ე თ ი“-სა

ტელეფონი:
№ 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათუმში, რასტოვში და სხ.